ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3991491

ნომერი: AR1598360

თარიღი : 03.05.2018

გაცემის თარიღი : 31.05.2018

გაცნობის თარიღი : 01.06.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი ; ქალაქი თბილისი , მუხადგვერდის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა მაისურაძე პ/ნ 01024019877
- თბილისი ჯ.ნადირაძის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
-წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ საპროექტო ნაგებობა აღემატება I კლასის მახასიათებლებს, გაცნობებთ რომ I კლასს განეკუთვნება: 60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.
-ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, საჭიროა საკითხი დააყენოთ შესაბამისი კლასით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.